



ზოგიერთი მუშენაბლის უფროაყვადება

სასარგებლო იქნებოდა, ახალ საცხოვრებელ საბლში ჩასახლების შემდეგ ერთი თვე რომ გავა, მუშენბლობის ხელმძღვანელები მოვიყვანოთ ამ სახლის მობინადრეთა საერთო კრებაზე და მოვასმენინოთ მათი მუშაობის კრიტიკა. ვფიქრობ, ზოგიერთი სამუშაოს მწარმოებელი და საზოგადოდ ბრიგადირი ვერ გაბედავდა მისულიყო ასეთ კრებაზე.

(ამხანაგ ვ. პ. მუჟანაძის სიტყვიდან მუშენბელთა რესპუბლიკურ თათბირზე, მიმდინარე წლის 24 მაისს).

ნახ. ჯ. ლოლუაბი

— თამს ვუზველოთ, ჩასახლება დაიწყო!

№ 12 თბილისი ივესი 1960

საბჭო

გაბრძობის XXXVIII წელი, ჟანი 2 მან.

დახმარება

დახმარება

ჩვენ საკვლეფო-სამეცნიერო დაწესებულება სულაც არ გახლავართ, მაგრამ ჩვენთანაც შემოვიდა ერთი ანატომიურ-ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიურ-ანთროპოლოგიურ-ნერვოპათოლოგიური შეკითხვა, კერძოდ:

— შეიძლება თუ არა ადამიანმა წლების მანძილზე არც ჭამოს, არც სვას, არც იძინოს, არც იქეიფოს, არც გაერთოს, არც გაისეირნოს და დღეღამეში 24 საათი იჯდეს სასწრაფო დახმარების მანქანის საჭესთან???

ამის დასადგენად დუშეთს გავემგზავრეთ. დღის სამის ნახევარზე სასწრაფო დახმარების სადგურის კარი შევადეთ. წინ მორიგე ექიმი ვლადიმერ ლეზიოტკინი შემოგვეგება. როდესაც სასწრაფო დახმარება მოვიკითხეთ, მან ოპერატიული კაცის პოზით მოგვასხენა, რომ მანქანა თბილისშია წასული სისხლის ჩამოსატანად, ჯერ არ დაბრუნებულაო.

ჩვენ საავადმყოფოს მივადექით.

საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გულნარა თუჯიშვილმა არანაკლები ოპერატიული მუშაკის გამომეტყველებით მოგვასხენა, რომ მანქანა თბილისიდან დიდი ხანია დაბრუნდა, ახლა ბენზინზეა წასული და მალე მოვაო.

— კი, მაგრამ სასწრაფო დახმარების მორიგე ამის შესახებ რომ არაფერი იცის?

— არც უნდა იცოდეს, რადგან მანქანა აქ დგას, საავადმყოფოს ეზოში და ჩემს განკარგულებას ელოდება.

— სასწრაფო დახმარება რაღას აკეთებს?

— თუ ვინმემ დარეკა, სასწრაფოდ დაგვირეკავს.

— თუ თქვენ არ ბრძანდებით?

— მაშინ «ჩორნას» დაურეკავს, ჩორნა ჩვენი მძღოლია!

— «ჩორნა»-ც თუ არ არის?

— მაშინ ისევ ჩვენთან დარეკავს.

— ავადმყოფი რას შვრება ამასობაში?

???



ნან. ე. ბერძენიშვილისა

— პათივცემული ექიმო...
— ჯერ რა პათივი მეცით, ასე რომ მომმართავთ!

ჩვენ სინანულით გაიფიქრეთ თუ რა კარგი ტელეფონისტი ცდებოდა სასწრაფო დახმარების მორიგის თანამდებობაზე და მოვითხოვეთ მძღოლთან გასაუბრება, რომელიც, როგორც ექიმის მოთხოვნის შემდეგ, არც ჭამს, არც სვამს, დღეღამე არ ძინავს და საჭესზე მუდმივად მიჯდებულია.

მძღოლი მოვიდა იგი სრულებით არ გავდა ნამარხულებს, ან უძილოდ გასცა.

«ჩორნა» უპირესად წესიერი ადამიანი აღმოჩნდა. მას, როგორც თვითონ გადმოგვცა, წლების მანძილზე ერთი დასვენების დღე არა ჰქონია და არცა სჭირდება, ისე გაგიჟებით უყურებოდა ადამიანები, რომ ყველა ამქვეყნიურ სიკეთესა და ბედნიერებაზე ნებაყოფლობით ამბობს უარს და დღეღამეში ოცდაათი საათი ემსახურება ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სამამულიშვილო საქმეს.

როდესაც ჩვენი გაოცება საზღვარს გადასცდა, «ჩორნას» ასეთი ფიზიკური გამძლეობის გამო, მან, ცოტა არ იყოს, დაიმორცხვა.

— ხანდახან ჩემი მეგობარი გივი ხუციშვილიც მეხმარება, მე კი ვისვენებ.

— საგზურები რომ სულ შენს სახელზეა გამოწერილი?

— ეს იმიტომ, რომ მე პირველი კლასის მძღოლი ვარ, ის კი მესამე კლასის.

ჩვენ დიდი მადლობა გადავუხადეთ «ჩორნას», რადგან მან გაგვარკვია ჩვენთვის ადრე უცნობ ფაქტში: თურმე მესამე კლასის მძღოლის სახელზე საგზურის გამოწერა არ შეიძლება.

— ორ მაისს თუ ისვენებდით?—გკითხეთ თავდადებულ მძღოლს.

— ორ მაისს, ისვენებდა კი არა, სულ აქ იყო საწყალი. გულდათუთქულად თქვა მთავარი ექიმის მოადგილემ როზა ჩხუტიაშვილმა.

— მართლა?—გაკვირვებულებმა მივმართეთ. ორ მაისს სასწრაფო დახმარების პუნქტში მორიგედ მყოფ აბსანძე დანიელს.

2 მაისს მე დამჭირდა მანქანა, დავრეკე საავადმყოფოში და ასე მითხრეს, სასწრაფო დახმარების მანქანა თბილისშია წასულიო.

— ტყუილია, — თქვა მთავარი ექიმის მოადგილე ჩხუტიაშვილმა, — ხუთ საათზე ჩვენ ავადმყოფი გადავიყვანეთ მანქანით.

— საგზური გვაჩვენეთ!

2 მაისის საგზური მიწამ ჩაყლაბა.

— მართლა აქ იყო სასწრაფო დახმარების მანქანა ორ მაისს?—გკითხეთ ახლა საავადმყოფოს მორიგეს, გულნარა ნამგალაურს.

— დილით იყო, შემდეგ მძღოლმა მითხრა, თბილისში მივდივარ მთავარი ექიმის ამოსაყვანადო.

— მართლა?—გაიოცა მთავარმა ექიმმა.

— მართლა?—გავგვიკვირდა ჩვენც.

— მართლა?—გაუკვირდა «ჩორნასაც».

საწყალი «ჩორნა» როგორ გაბმული ყოფილა.

მართალია, ჩვენ გაგვიჭირდა იმის დადგენა, შეუძლია თუ არა ცოცხალ ადამიანს 24 საათი იმუშაოს გაბმულად უკმელესმელმა, ძილისა, გართობისა თუ დასვენების გარეშე, სამაგიეროდ, ჩვენ აღმოვაჩინეთ და დავადგინეთ, სასწრაფო დახმარების მანქანის დღემდე უცნობი ფუნქციები.

1. სასწრაფო დახმარება გაუწიოს საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

2. არ გაეკაროს სასწრაფო დახმარების სადგურს.

3. ხშირ-ხშირად გაქრეს დუშეთის მხედველობის სფეროდან, ისე რომ, არავინ იცოდეს მისი ასავალ-დასავალი და

4. მხოლოდ დროდადრო იდგეს საავადმყოფოს ეზოში. გარდა ამისა, დადგენილ იქნა დუშეთის სასწრაფო დახმარების სადგურის ახალი და ერთადერთი ფუნქცია.

რეკოს და რეკოს ტელეფონზე. ამიტომ «ნიანგის» რედაქცია დაბეჯითებით თხოვს ჯანმრთელობის სამინისტროს, დუშეთის სასწრაფო დახმარების სადგური სატელეფონო სადგურად გადააკეთოს, რადგან მისი მორიგე ექიმის მოვალეობა, საავადმყოფოს მთავარი ექიმის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ტელეფონზე რეკვა. ხოლო თვით სასწრაფო დახმარებას სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოს.

საქართველო, აყენი და სწავლე!

ბრძოლის
სიძლიერება

ხელი გაიშვირა და მითხრა:—ეს ქურდია, მძარცველი.

თითქოს ჩვეულებრივ ადამიანად მეჩვენა. როცა დაგაკვირდი, მაშინდა შეენიშნე, რომ „ბროფსიას“ მისთვის თავისი დადი დაუსვამს, უცნაურად შეცვლიდა და ეს ცვლილება მის სახეს ისე ძლიერ აჩნდა, რომ ჩემმა მეგობარმა ბროკურორმა „საქმეში“ ჩაუხედავად ამოიციო მისი „ხელობა“.

კარი გაიღო და კიდეც ერთი შემოიყვანეს. ჩემი მეგობარი დიდხანს აცქერდებოდა ყურადღებით, მერე სახე ზიზღით დაემანჯა და თქვა:

— თაღლითი!

უკან გამობრუნებისას მეგობარმა მითხრა: თაღლითის ამოცნობა მუდამ მიჭირს, რადგან მისი იარაღი ნიღაბია. სულში თავლად ჩაგვეწვეთა და შესამად ამოღინდება. ქურდი, ჯიბერი, მძარცველი ერთგვარად კიდეც მეცოდება, მართალია, გაგაუბედურებს, მაგრამ თვითონაც გზასაცდენილი უბედურია. თაღლითი კი, რომ გაგაუბედურებს, თან დაგცინის, გულში გიტოვებს მოტყუებით გამოწვეულ უსიამოვნო გრძნობას და ორმაგი ბოღმა გახრჩობს. იგი ყველა პარაზიტზე უფრო დიდი პარაზიტია. მე მას მკენარს ვადრი. თუ ტანზე შეაცოცდა, კაცს უსიამოვნება შეიპყრობს, თუ შეეგუა, კიდეც შეეთვისება და მაშინლა იგრძნობს, როცა უტყენს. მაგრამ გვიანდა: კბენასთან ერთად სისხლიც გამოწოვილია.

* * *

მოსკოვის მეტრო და კურსკის სადგური, მოედნები და მაღაზიები, სახელმწიფო ხალხთა სასტუმრო ოთახები და კულტურულ დაწესებულებათა სალონები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, ტექნიკუმები და სპეცსაწავლებლები, სამინისტროები და უწყებები—ყველაფერი ეს ამ მეზნანურ პოზაზე მინაზებული პარაზიტის სარბილია, იგი ყველას და ყველაფერს სწვდება, სახეზე ნიღაბს იფარებს, სულში თავლად გედვრება და შესამად ამოგდის, ხან ვიღაც ბროფსორის ცოლია, ხან ვიღაც მინისტრის სიძის დედა, ხან თვითონაა მინისტრის მოადგილე, ხან ინსტიტუტის თანამშრომელი, მაღაზიის დირექტორი, საწყობის გამგე, ხან დიდი ქალია, ხან—პატარა, საერთოდ კი არაფერია, თაღლითია და პარაზიტი.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მას ეძებენ მისგან მოტყუებული: სერგო კორძაძე, ვიტალი სტურუა, სიმონ ვოლენკო, ბუნუტი გეფერიძე, ეკატერინე კართაძე, ივანე კურსანოვი, ტანია აკიმოვა, ვერა მოჭაევა, პეტრე ისაგულიევი, მარიამ ლეონოვა, კატია სამილოვა, შალვა ლასარეიშვილი და ა/კ რკინიგზის ბროკურატორა.

უკაცრავად, ბროკურატორამ დიდი ხანია ძებნას თავი ანება, უკეთ რომ ვთქვათ, არც უძებნია, მხოლოდ დადგენილება გამოიტანა დამძნისა და სისხლის სამართლის გასუხისგებაში მიცემის შესახებ და ამით დაკმაყოფილდა. ეძებენ ზემოთ ჩამოთვლილი პირები და სხვა მრავალზე უფრო მრავალი, რომელსაც ვერ ჩამოვთვლით.

მარიამ ლუკას ასული ქოიავა—გიგინეიშვილი კი დღესაც დალოდავს, ჩამორბენს სხვადასხვა დაწესებულებას, ან ქუჩაში უცნობს გააჩერებს, სახეგაბადრული გაუბამს საუბარს და ვითომდა სხვათა შორის შეაპარებს:—მე ამა და ამ დიდი კაცის ესა და ეს ნათესავი გახლავართ. ოო, რა სასიამოვნოა, როცა მოსკოვში ქართველს შეხვდები...

მოსკოვში კი, თუნდ სასეირნოდაც იყო ჩასული,

მაინც მოგინდება რაიმეს ყიდვა, ან ამხანაგის დავალებით რაღაც საქმეს აგვარებ. მარიამი მზადაა დაგეხმაროთ. სერვანტი გნებავთ? კი ბატონო! ორი კვირის შემდეგ საქართველოში მიიღებთ. ფული არ გყოფნით?

— ბეჩა, ფული რა სათქმელია, ქართველები არ



ვართ? მე დავიმატებთ და მერე დამიბრუნებთ. ქართველები სად გავეცევით ერთმანეთს? ჯერ ის მომეცით, რაც გაქვთ!—და გადადის მარიამის გაკრიალებულ საფულეში მშრომელი კაცის დანაზოგები.

ასე გაიცნო მარიამმა მოსკოვში შალვა ლასარეიშვილი ოჯახობით, ორივეს თავისებურად მოუქონა თავი, შალვას ფული დააკლდა და თავათ მარიამმა უყიდა საკუთარი ფულით ოჯახისათვის საჭირო ზოგიერთი ნივთი და სამტრედიაშიც გამოუგზავნა. შალვას სახლის კარი ფართოდ გაიღო მარიამისათვის და იმ სახლში მარიამმა ერთხელ დაიწყო წესი:

— ბეჩა, კი მინდა ვთქვა, მარა, მრცხვენია. ამ სიბერეში მანქანის რიგში ჩავეწერე. რად მინდა ახლა მე მანქანა ეგება ვინმეს უნდოდეს, ხუთი ათასი გადახდილი მაქვს, დაფაროს და რიგს დავეთმობ.

ძვირფასი და უბატონისესი სტუმრისათვის თავს ვინ არ შეიწუხებდა. დატრიალდა შალვა და მსურველებიც გამოჩნდნენ: სიმონ ვოლენკო და ვიტალი სტურუა. ორივემ ხუთ-ხუთი ათასი მანეთი ჩაუთვალა მარიამს. შალვა ლასარეიშვილი ამათი უნებლიე შუამავალი გახდა. აქეთ სერაპიონ გეფერიძეს ჰყავდა შვილი—სულიკო გეფერიძე უმაღლესში მოსაწყობი. შალვას საშუალებით მარიამს სერაპიონიც გაეცნო. სერაპიონმა ალბათ აულო აღლო მარიამს და იფიქრა, რაღა სულ ამას დარჩეს მოგება, ცოტა მეცო და თავისი ნათესავი ბუნუტი გეფერიძე გაეცნო, ამანაც თოთხმეტი ათასი მანეთი მიართვა მარიამს—მანქანა მიყიდეთ. ცოტა ადრე სერაპიონის შვილი სული-

კო თავათ შალვამ მიგვარა მარიამს მოსკოვში. — ა, ბატონო, აქ ისწავლოს, იყოს შენტან და უბატონო. მარიამმაც ასწავლა, უბატონა და სულიკოსგან ისეთი თაღლითი დადგა, რომ მასწავლებელსაც გადააჭარბა და მალე ქურდობისათვის ორი წლით ჩაჯდა. სერაპიონი კი, ამდენ ხანს რომ დამშვიდებით შესცქეროდა შვილის გასალახანებას, ახლა აყვირდა, ლასარეიშვილმა დამიღუპა შვილი, აფერისტს ჩაუგდო ხელში.

ამ ხანში კი მარიამმა თაღლითისათვის ჩვეულებრივი ხერხი იხმარა და გაუჩინარდა. ყველა მოვალე შ. ლასარეიშვილს მიადგა. უჩივლეს ა/კ რკინიგზის ბროკურატურაში და სწორედ აქ აიწეწა ყველაფერი. ვინც მართლა დამნაშავე იყო, იმას არავინ გამოეკიდა, ლოქო გაუშვეს და ჭიჭყინას სტაცეს ხელი. იქნებ იმიტომ, რომ „ჭიჭყინას“ სამტრედიაში საკუთარი მარჯვენით აშენებული სახლი ედგა, მარიამს კი, თუკი დაიჭერდნენ, სულს იქით რაც არ ებადა, რას წაართმევდნენ?! სწორედ ამიტომ არივდარია რკინიგზის ბროკურატურამ მისი არაქვემდებარე საქმე, შ. ლასარეიშვილი სამსახურიდან გაანთავისუფლა (ნეტავ რატომ?) და სიმონ ვოლენკოს, ვიტალი სტურუას და სერაპიონ და ბუნუტი გეფერიძეების „ვალი“ სამოცდარვა ათასი მანეთი აჰკიდა. აქედან ყველაზე კუროზული სერაპიონის „ვალი“ იყო, 11, 12, 13, თუ 14 ათასი მანეთი, კარგად თავათ სერაპიონმაც არ იცის, რომელიც მან ვითომდა თავისი შვილის „განათლებას“ მოახმარა.

რამდენი უსამართლობა ჩაიდინა ა/კ რკინიგზის ბროკურატურის სამტრედის განყოფილებაში, ენა ვერ მოთვლის, წულუკიძის რაიონის სახ. მოსამართლე ფახურიძემ კი, რომელმაც უკანასკნელად გაარჩია ეს საქმე, ერთი ცოდვა ქნა: 1957 წლის 18 მაისის განაჩენით 68.000 მანეთი 36.000 მანეთამდე დაიყვანა და შ. ლასარეიშვილს „თაღლითობისათვის“ წელიწადნახევრით ბატმრობა მიუსაჯა...

და ატირდა ლასარეიშვილების ოჯახი: უწლოვანმა შვილმა სწავლას თავი ანება და სამუშაოდ წავიდა, სახელმწიფო ბანკის მიერ დაყვადებული სახლი ვალში გაიყიდა და ამდენ „მოვალეთა“ შორის, რატომღაც, მართო ვიტალი სტურუას დარჩა, ბუნუტი გეფერიძემ დაკარგულ 14 ათას მანეთზე უარი თქვა, ცხადია, იმიტომ, რომ მისი ნათესავი სერაპიონი არ გაჩხერილიყო.

იცინოდა მხოლოდ თაღლითი მარიამი.


შალვა ბატმრობაში იყო და ჩიოდა.

ამ ცოტა ხნის წინ საქ. უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა ეს საქმე და შ. ლასარეიშვილს მოუხსნა 36.000 მანეთი, როგორც არასწორად დაკისრებული და დაავალა გ. სტურუას სასარგებლოდ მხოლოდ 7.000 მანეთის გადახდა.

ჩვენ გვწამს, რომ ლასარეიშვილს ეს თანხა თაღლითობისათვის არ დაკისრებია. დაეკისრა იმიტომ, რომ შეცდა და თაღლითი მარიამის მაცდურობის მსხვერპლი გახდა.

ასეთი შეცდომა შეიძლება მოუვიდეს ყველას. ამიტომ...

ადამიანებო, იყავით ფხიზლად! ამ სურათზე აღბეჭდილი პარაზიტი დღესაც დალოდავს და არავის შევაცოცდეთ.



ნან. გ. ლომიძისა

დემოკრატია იაპონურად

«ზაჭიგალკა» ამოიღო, იტალიურიაო, ოცჯერ ჩა-
მოკრა, რომ ველარ აანთო, ჩვენებური ასანთი
მთხოვა, გააბოლა და ირონიულად მკითხა:

- ვენეცია გინახავს?
- რომელი?—გკითხე მე,
- რომელი და მაცაბერიძე. იტალიაში რომ
ვენეციაა, იმას გკითხე.—გამიჯავრდა იგი.
- მაგი არ მინახავს.
- არ გინახავს და იჯექი აქ, თბილისში.
- რაშია საქმე?
- ესაა ულამაზესთა შორის ულამაზესი ქალა-
ქი. წარმოიდგინე, სახლები წელამდე წყალში
დგანან, ქუჩებში ნაგებობები დადიან, მოკლედ...
- საბურთალო გინახავს?—გკითხე ახლა მე.
- არ მინახავს,—მიბასუნა მან გაკვირვებულმა.
- არ გინახავს და იჯექი იქ, ვენეციაში,—გა-
გუჯავრდი ახლა მე.
- რაშია საქმე?—მკითხა მან.
- წამოდი ჩემთან,—გუთხარი მე და საბურთა-
ლოსაკენ დაგიძარი.

წვიმდა.
პავლოვისა და ბეკინის ქუჩების გზაჯვარედინზე
გაგედით.

- რა არის ეს?—გკითხე მე და თითი პავლო-
ვის ქ. №2 სახლის ეზოსკენ გავიშვირე.
- წყალი.—მიბასუნა მან.
- შენთან დიდი ბოდიში, მაგრამ ჯერჯერობით
ნაგები არა გვაქვს,—მოვუბოდიშე და მუხლებამდე
ტალახში შევეტოპე.
- ჩემს მეგობარს უკანდასახევი გზა არ ჰქონდა
და ტლაპოროს გულდაგულ შემოყედა.
- პირველ სადარბაზო შესასვლელში შევიყვანე,
სარდაფების განყოფილებაში ჩავახედე და ისევ
გკითხე:

- რა არის ეს?
- წყალი.—მიბასუნა მან.
- დგას თუ არა წყალში ეს სახლი?
- კი.
- წამოდი აბა.

„ვენეცია“

უცნაურია ადამიანი. იმისათვის, რომ ერთი მუხ-
ლამდე წყალში ჩამდგარი ქალაქი ნახოს, წლობით
აგროვებს ფულს, ყიდულობს ტურისტულ საგზურს,
იკეთებს ათასნაირი ავადმყოფობის საწინააღმდეგო
ათასნაირ ნემსს და ყურებადმდე გახეული ღიმილით
მიემგზავრება სადღაც დაკარგულში, მერე ჩამოვა
და საცერისტოლად დაჰყვებილი თვალებით ჰყვე-
ბა—ვენეცია რა ყოფილაო.

მე მყავს ერთი ნაცნობი, რომელიც ამას წინათ
ქუჩაში შემხვდა და ევროპულად მომესალმა. მე
ჩვენებურად მივესალმე და გკითხე:

— რას იქაჩები, ბიჭო, რა ნახე ამისთანა?—მან

საბურთალოს ქ. №42—44. ისევ სარდაფების
განყოფილება და ისევ განმეორებული კითხვა:

- რა არის ეს?
- წყალი?
- დგანან თუ არა ეს სახლები წყალში?
- კი.
- დგანან თუ არა ვენეციაში სახლები წყალ-
ში?
- დგანან.
- დგანან თუ არა საბურთალოზე სახლები
წყალში?
- დგანან.

— ე. ი., რა ყოფილა საბურთალო?
— ვენეცია, მაგრამ რა ეშველება ამას?
— არაფერი. ტურისტული საგზურების გაყი-
ვა და ხალხის მოზიდვა.

— ამას, საგზურები კი არა, დრენაჟები უნდა,—
თქვა ჩემმა მეგობარმა და შარვლის ტოტი წვივზე
მიიწურა.

— რა არის დრენაჟი?—გოტვი მე და ჭანდილი
ფეხსაცმლიდან წყალი გადმოვღვარე.

— დრენაჟი თხრილია, რომელიც ჭაობიანი ად-
გილების დასაშრობად გაჰყავთ.

— და შენ გინდა, რომ ჩვენ წყალი დაგვიშრო
და მშრალზე დაგვტოვო, არა, არ გამოვა.

ამ საუბარში ვიყავით გართულნი, რომ ჩემმა
მეგობარმა წყლიდან ქვა ამოიღო და რაღაცას
დაუმიზნა.

— არ მოჰკლა,—ვიყვირე მე და ხელი ვტაცე.—
ბაყაყის მოკვლამ წვიმა იცის.

უცებ ალიყური ვაჭამე.
გაბრაზებულმა მკლავი დაიკოტავა და, ის-ის
იყო, სამაგიეროდ უნდა ეთხლიშა ჩემთვის, რომ
ხელისგული გაეშალე და ზედ მიჰყვებილი კო-
ლო—ანოფელესი ვუჩვენე.

მეგობარმა უგუნებოდ გამიღიმა, სილა გამაწნა
და ხელისგული გამიშალა.

მის ხელისგულზედაც კოლო იყო მიჰყვებილი.
ასე ცემა—ტყეპით გამოვედით ამოწურულნი და
გასაშრობად ჩემს ოთახში ავედით. სუფრას მო-
ვუსხედით. თითო ჭიქა ოთხნარსკვლავიანი გადა-
ვკარით და, როდესაც შევთბით, ჩემმა მეგობარმა
ისევ წამოიწყო.

— დრენაჟები მაინც აუცილებელია, თორემ, თუ
თქვენ გადაურჩით ამ ჭანჭრობის სიმყრალესა და
კოლო-ბუზებისა და ბაყაყების შემოსევას, ეს სახ-
ლები მაინც წაიქცევა...

— ვიცი, ჩემო კარგო, მაგრამ, როგორც ამბო-
ბენ, დრენაჟების გაყვანა ძვირი ჯდება.

— რას ჰქვია ძვირი ჯდება,—გამიჯავრდა მე-
გობარი,—ვის ეხება ეს საქმე?

— ვისა და ქალაქის კეთილმოწყობის სამმარ-
თელოს, ა, ბატონო, განცხადებების ასლი:

— აქ თავიდანვე შეცდომაა დაშვებული და იმა-
თი რა ბრალია. თქვენ დაგიწერიათ «საბურთალოს
მცხოვრებლებისათვის», ალბათ, გეძებეს და ვერ
მოგაგნეს. უნდა დაგეწერათ «ვენეციის მცხოვრებ-
ლებისათვის» და ამ პატარა საქმის მოგვარება ამ-
დენ ხანს არ გაჭიანურდებოდაო.

ვღებულობ ჩემი მეგობრის შენიშვნას და ახლა
უკვე ვენეციის მცხოვრებლების სახელით ვემულა-
რები ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის სამმარ-
თელოს, ვიდრე ამოვიხრჩობოდე, მოგვისწროს
სულზე და გვიშველოს რამე.

ვენეციელი



უსიტყმო აკადემია

ამადანის აკადემიაში აკადემიკოსები ბევრს ფიქრობდნენ, ცოტას წერდნენ და კიდევ უფრო ცოტას ლაპარაკობდნენ, რისთვისაც მას უსიტყმო აკადემია ეწოდა. ყოველ სწავლულს ეამაყებოდა იქ მოხვედრა.

მშვენიერი წიგნის «სიჩუმის ხელოვნების» ავტორმა დოქტორმა ზებმა თავის პროვინციაში გაიგო, რომ უსიტყმო აკადემიაში არის ერთი ვაკანტური ადგილი. იგი საჩქაროდ გაემგზავრა ამადანში და იმ დარბაზში წარსდგა, სადაც აკადემიკოსებს მოეყარათ თავი. ზებმა კარისკაცს თხოვა აკადემიის პრეზიდენტისათვის გადაეცა ბარათი: «დოქტორ ზები, თავმდაბლურად ითხოვს ვაკანტურ ადგილს».

კარისკაცმა მაშინვე შეასრულა დავალება, მაგრამ ზებმა დაიგვიანა. აკადემია იძულებული გახდა დოქტორ ზებისათვის, ყველა ყბედის მტრისა, ასეთ სწავლულისა და ნიჭიერი ადამიანისათვის, უარი ეთქვა. პრეზიდენტს უჭირდა უარის თქმა, მაგრამ, ბოლოს, გადასწყვიტა: წყლით პირთამდე გაეცხოთ ფიალა და ზები შემოეყვანათ.

ზები მორიდებულად შემოვიდა. პრეზიდენტი შეეგება მას და ნაღვლიანად უჩვენა წყლით სავსე სიმბოლური ვაზა, ზები მიხვდა, რომ აკადემიაში ადგილი აღარ იყო.

ზებმა პრეზიდენტის ფეხებთან გარდის ფურცელი დაინახა, დაიხარა, აიღო და წყლით სავსე ზედაპირზე ისე მოხერხებულად დადო, რომ ერთი წვეთიც არ დაღვრილა.

ამ მოსწრებულმა პასუხმა ყველა იქ მყოფნი გააოცა და დოქტორ ზები ერთხმად აირჩიეს.

თარგმანი თ. ფურცხვანიძისა

გამრანული იუმორი

ბობი გულმოდგინედ კითხულობს განცხადებებს ქორწინების შესახებ და რაღაცას იწერს ბლოკნოტში.

- რა, ცოლის მოყვანას ხომ არ აპირებ?
— არა, სტატისტიკურ ცნობებს ვაძღვნი.
— როგორ?
— მინდა გამოვიანგარიშო, კაცები მეტი ქორწინდებიან თუ ქალები?

ერნესტ ჰემინგუეის ქორწილის დროს მეზობელმა უთხრა:

- თქვენი ცოლი მომხიზლავია, მისი კაბა კი ერთი მშვენიერი ლექსი.
— ერთი ლექსი?—მიუგო მწერალმა. —უფრო სწორი იქნებოდა, თუ იტყვოდი: მთელი ოცი ლექსი, ოცდაათი ნოველა და ერთი დრამა.

- მე ბინის ქირის მისაღებად მოვედი.
— დედას დაავიწყდა ფულის დატოვება
— საიდან იცი?
— დედამ მითხრა, სახლიდან რომ გადიოდა.

თარგმანი ს. გელაშვილისა

თუნდაც დღესვე

იტალიელი კომპოზიტორი როსინი ერთი ქალის ოჯახში სადილობდა. ქალს მაგიდა ისე მომჭირნედ გაეწყო, რომ სადილის შემდეგ სტუმარი ისევ მშვიდი დარჩა.

- გთხოვთ კიდევ მობრძანდეთ ჩემთან სადილად,—თხოვა ქალმა.
— სიამოვნებით,—მიუგო როსინიმ,—თუნდაც დღესვე.

სვიფტი და სულელი

დიდ ინგლისელ მწერალ სვიფტს ქუჩაში სეირნობის დროს წინ ვიღაც თავზე და შარიანი ახალგაზრდა აეყუდა და გამომწვევად უთხრა:

- მე სულელებს არასოდეს გზას არ ვუთმობ.
— მე კი პირიქით,—მიუგო მშვიდად მწერალმა და გზიდან ჩამოსცილდა.

თარგმ. შ. ამირანაშვილისა

ინგლისური იუმორი

— თქვენს მეუღლეს აბსოლიტური სიმშვიდე ესაჭიროება.—მიმართა ექიმმა ავადმყოფის ცოლს.—ან დასაძინებელი ფხვნილიც.

- კი მაგრამ, როდის და რა რაოდენობით მიცეც?
— თქვენ თვითონ დალიეთ.

კოსმეტიკის კაზინებში

- რა უნდა გავაკეთო, რომ ყოველთვის სუფთა და ნაზი ხელები მქონდეს.
— არაფერი.

ტაქსის მძღოლი: მაბატიეთ, სერ, მაგრამ თქვენი ვაჭიშვილი უფრო გულუნვია, ვიდრე თქვენ.
კლიენტი: შესაძლებელია, მე ხომ მასავით მდიდარი მამა არა მყავს.

თარგმანი ვ. მესხიშვილისა

სომერსტ გოეტი საუზმე

ამ ოცი წლის წინათ პარიზში ღარიბულად ვცხოვრობდი. ერთმა ქალმა მომწერა, ჩამოვიდვარ და თქვენთან შეხვედრა მინდაო. შევთანხმდით, რესტორან «ვიოტში» გვესაუბრა.

- ... მოიტანეს მენიუ. ფასებს რომ თვალი გადავაგლე, შევწუხდი, მაგრამ ქალმა დამამშვიდა:
— საუზმე არ მინდა.
— როგორ გეკადრებათ..
— კეთილი, ცოტა თევზს გეახლებთ. ორაგული თუ აქვთ ნეტავი?

- მოიტანეს ორაგული.
— ხიზილალა თუ აქვთ უარს არ ვიტყვოდი!
ოფიცანტს ვთხოვე ყველაზე იაფი—ცხვრის ხორცის კატლეტი მოეტანა ჩემთვის.
ახლა საქმე სასმელზე მიდგა.
— მე შამპანურს ვსვამ მარტო, — თქვა ქალმა.
ფერმა გადამკრა, მაგრამ რას ვიზამდი!
ოფიცანტი მოვიდა მენიუთ.
— არა, არა,—თქვა მან,—მე ახლა სატაცურის მეტს ვერაფერს შეგჭამ.
გული კვლავ შემეკუმშა
— ყავას ხომ არ ინებებთ?—კითხე მე.
— დიახ, ყავას და ნაყინს გეახლებით.
— აი, თქვენ კუჭი ხორციით აივსეთ და მეტს ვეღარ ჭამთ. მე კი მსუბუქად ვისაუზმე და შემიძლია

ატმით ვისიამოვნო.—თქვა მან და ატამი მოითხოვა.
როგორც იქნა, გავუსწორდი ოფიცანტს.
— მომზადეთ მე, ნურასოდეს შეგჭამთ საუზმეზე ბევრს.
— მეტსაც ვიზამ. დღეს სადილად სულაც არაფერს გეახლებით.
— აი იუმორისტი!—დაიძახა მან მხიარულად, როცა ეტლში ჯდებოდა.
ბოლოს მაინც მე დავრჩი მოგებული. ახლა ის ქალი 133 კგ იწონის.
თარგ. მ. ქართველიშვილისა



ბულგარული იუმორი

ერთი გაბროველი მივიდა მკერავთან და ჰკითხა:
— რა ელირება შარვლის დაუთოვება?
— ათი ლევი.—იყო პასუხი.
გაბროველმა გაუწოდა ხუთი ლევი და მოკრძალებით უთხრა:
— თუ ძმა ხარ, ერთი ტოტი დამითოვე, რადგან სურათის გადაღებას პროფილში ვაპირებ.
* * *
ამბობენ, გაბროველები იმდენად წუწურაქები არიან, ზამთარში კატებს კულებს აჭრიან, შინიდან რომ გადიან, სითბო არ გაიტანონ.
* * *
დამლამობით გაბროველები საათებს აჩერებენ, ზედმეტი არ იმუშაოს და მექანიზმი არ გაცედეს, მაინც არავინ უყურებს დამით საათს.
შეაგროვა ე. გ.—მ

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. ღუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.


საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, ხაერთო განყოფილების—3-10-49.

გამომც. № 12. ხელმოწ. დასაბ. 14 VI-1960 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 1002 უფ. 02878. ტირ. 40.00



ზრანოს სპორტული ბრიუკი



საქართველოს საბ. რევოლუციური
 378
 28/VI 60

ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე გულმოდგინე თანამზრახველი ამ საკმეში არიან ის რეაქციული მთავრობები, რომლებიც ხალხთა ნების წინააღ-
 დებ ხიშტებს ეყრდნობიან. ამ კომპანიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს
 ფრანკოს—ბნელეთის მოციქულს, დიქტატორს, რომელმაც ესპანეთის მუშათა
 კლასისა და გლეხობის სისხლში ჩაახრჩო დემოკრატია და თავისუფლება და
 პიტლურისა და მუსოლინის დახმარებით დაამყარა ფაშისტური რეჟიმი ესპა-
 ნეთში... მთელი მსოფლიო დასცინის ახლა მის უკანასკნელ სპორტულ ტრიუკს.
 მან ამერიკის პრესტიჟის მარჯვენა დამცველის პოზიციიდან შეაგდო ბურთი
 თავისსავე კარში, აუკრძალა ესპანელ ფეხბურთელებს საბჭოთა გუნდთან შეხვედრა.
 (ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლიდან კომუნისტური შრომის ბრიგა-
 დებისა და დამკვერულების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავში-
 რო თათბირზე 1960 წლის 28 მაისს).